პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი ოთხშაბათი 10 დეკემბერი № 283 (17925) ფასი 2 კაპ.

ᲥᲛᲜᲘᲐᲜ ᲛᲢᲙᲘᲪᲔ ᲑᲐᲖᲐᲡ

სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისთვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება თბილისის საიარაღო ქარხანაში ახალ მოწინავე საამქროებს, უბნებს, ბრიგადებს ავლენს. ამის შედეგია ის, რომ საწარმოში მნიშვნელოვანი გადაჭარბებით სრულდება ყოველთვიური გეგმები ყველა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით.

კარგი შედეგია მოპოვებული აგრეთვე პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში. აქ დამზადებული საჭრისები, სხვა საზეინკლო და სახარატო იარაღები მოსწონთ მომხმარებლებს — ჩარხმშენებლებს, მანქანათმშენებელ ე ბ ს, ელექტროტექნიკური მრეწველობის მუშაკებს.

საწარმოში ამ ბოლო ხანებში ბევრი მომავლისათვის გამიზნული საორგანიზაციო-ტექნიკური ღონისძიება განხორციელდა.

ქარხანა ამაყობს თავისი საუკეთესო ადამიანებით, მათ შორის სპეტიო ადგილი უკავია მოარავს, შრომის წითელი დროშისა და დიდების ორდენების კავალერს მ. კალანდაძეს. („კომუნისტის“ კორ.)

სურათზე: მ. კალანდაძე.
თ. ნიკოლეიშვილის ფოტო.



ᲓᲘᲓᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ინდუსტრიის, მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲔᲑᲝ!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფსაბჭო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ და გულითადად ულოცავენ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის სისტემის მუშაკთა მრავალათასიან კოლექტივს დიდ შრომითს გამარჯვებას — ძირითად მაჩვენებელთა კომპლექსის მიხედვით მეათე ხუთწლედის გეგმებისა და ვალდებულებების ვადამდე შესრულებას.

გაშალეს რა სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის, სისტემის მშრომელებმა წარმოებაში ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვის, ტექნოლოგიის სრულყოფის, საწარმოო პროცესების მართვის მექანიზაციისა და ავტომატიზაციის გზით დიდი გადაჭარბებით შეასრულეს პროდუქციის წარმოების, სახოფლო-სამეურნეო მანქანების შეკეთების, მეცხოველეობის ფერმებისა და კომპლექსების მექანიზაციის, მანქანა-ტრაქტორთა პარკის ტექნიკური მომსახურების, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხუთწლიანი დავალებანი.

ეს შრომითი გამარჯვება მოპოვებულია თქვენი დარგის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციების მიზანდასახული ორგანიზატორული მუშაობის, წარმოების კულტურის ამაღლების, მუშაკთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების მეოხებით.

საგულისხმოა, რომ, დადგნენ რა საყრილობო შრომითს ვახტზე, ჩვენი რესპუბლიკისათვის ამ დიდმნიშვნელოვანი დარგის საწარმოებისა და ორგანიზაციების შრომელებმა გადაწყვიტეს ხუთწლედის დამლევამდე დარჩენილ დროში დამატებით აწარმოონ 80 მილიონი მანეთის პროდუქცია.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფსაბჭო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ რესპუბლიკის სახსოფლ-ტექნიკის მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები წარმოების ეფექტიანობისა და მუშობის ხარისხის ამაღლებისათვის ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების საფუძველზე ახალი შრომითი წარმატებით შეეგებებიან სკკპ XXVI ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის მე-80 წლისთავს

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო
საქართველოს პროფსაბჭო,
საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი,

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲒᲣᲚᲘᲗ, ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲘᲗ

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲓᲐ, ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ

თბილისის კერამიკული კომბინატის კოლექტივს არასდროს არ დაუთმია თავისი მოწინავე პოზიციები. ათეული წლების განმავლობაში კერამიკოსები პირველები არიან ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობაში. ასეთი წარმატებები შრომის მაღალმა ორგანიზაციამ, ტექნოლოგიურ ი პროცესების დახვეწ ა ზე მუდმივმა ზრუნვამ, სოციალისტური შეჯიბრებ ი ს ქმედითობამ განაპირობა.

მეათე ხუთწლედის დავალება საწარმოში სამი თვით ადრე შესრულდა. ამით მტკიცე ბაზა შეიქმნა მომავალი წლისა და მთლიანად მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმების რეალიზაციისათვის. მომავალი წლის გეგმები საკმაოდ გაზრდილია. საკმარის ი ა ითქვას, რომ მარტო მოსაპირკეთებელი ფილების გამოშვება 250 ათასი კვადრატული მეტრით გადიდდება. მომხმარებელი მიიღებს ახალ პროდუქციას — სერიოგრაფიულ მოხატულ ფილებს.

ვალდებულებები, რომლებიც კერამიკოს ე ბ მ ა სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის იკისრეს, წარმატებით სრულდება. („კომუნ ი ს ტ ი ს“ კორ.“)

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠ-ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ

დელი, 9 დეკემბერი. (საკდესი). დღეს დაიწყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევისა და ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ინდირა განდის მოლაპარაკება. მოლაპარაკებაში მონაწილეობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ი. ვ. არხიპოვი, ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრი პ. ვ. ნარასიმჰა რაო, ვაჭრობის მინისტრი პ. კ. მუკერჯი და მრეწველობის სახელმწიფო მინისტრი ჩ. ჩანანა.

გაიმართა საფუძვლიანი აზრთა გაზიარება საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ურთიერთობის საკითხებზე, აგრეთვე ორივე მხარისათვის საინტერესო უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო პრობლემებზე.

მოლაპარაკების მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, თუ რა მაღალი დონე აქვს საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ურთიერთობას, რომელსაც საფუძვლად უდევს 1971 წლის 9 აგვისტოს დადებული მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება. მათ კმაყოფილება გამოთქვეს ორი ქვეყნის ეკონომიკური, სავაჭრო, მეცნიერულ-ტექნიკური და კულტურული კავშირურთიერთობის განვითარების გამო.

მოლაპარაკების დროს დაისახა სტვადასხვა დარგში ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის შემდგომი განვითარების პერსპექტივები. კერძოდ, საბჭოთა კავშირმა განაცხადა, რომ მზად არის ხელი შეუწყოს ინდოეთს ქვეყანაში არსებული ნავთობის ჭაბურღილების უკუგების გადიდებაში, დაეხმაროს ინდოეთის ელექტროსადგურების მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებაში, შეისწავლოს ინდოეთში მსხვილი ენერგეტიკული კომპლექსის შექმნაში, მეტალურგიის შემდგომ განვითარებაში სსრ კავშირის მონაწილეობის შესაძლებლობა. მხარეებმა დათქვეს განაგრძონ ყველა ამ საკითხის კონკრეტული განხილვა.

ი. განდიმ ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა ურთიერთხელსაყრელი ხასიათისაა ინდოეთისა და სსრ კავშირის ეკონომიკური თანამშრომლობა, როგორ დიდი მნიშვნელობა აქვს მას ინდოეთის ეკონომიკის განვითარებისათვის.

ლ. ი. ბრეჟნევმა ინდოეთის ხელმძღვანელებს აღუთქვა, რომ საბჭოთა კავშირი კვლავაც ყოველ ღონეს იხმარს, რათა კიდევ უფრო განავითაროს ორივე ქვეყნის მეიდრო მეგობრობა და თანამშრომლობა, განამტკიცოს მათი ურთიერთგაგება. ინდირა განდიმ ხაზი გაუსვა, რომ ასეთივეა ინდოეთის მხარის განზრახვაც.

მოლაპარაკების დროს განიხილეს თანამედროვე საერთაშორისო ვითარების საკითხები.

ლ. ი. ბრეჟნევმა და ინდირა განდიმ დაადასტურეს, რომ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო პრობლემებზე საბჭოთა კავშირსა და ინდოეთს აქვთ საერთო ან მსგავსი პოზიციები. მათ განაცხადეს, რომ საჭიროა საკადრისი პასუხი გასცენ მშვიდობის მოწინააღმდეგეთა ცდებს ძირი გამოუთხარონ დაძაბულობის შენელების პროცესს, თავს მოახვიონ ხალხებს გამალებული შეიარაღების ახალი რაუნდი, შეცვალონ მსოფლიოში დამყარებული სამხედრო წონასწორობა თავიანთ სასარგებლოდ, ამრავლონ სამხედრო კონფლიქტების კერები.

მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი ინდოეთის ოკეანის, კერძოდ, სპარსეთის ყურის რაიონში შექმნილი ვითარების შესახებ, და დაგმეს აქ სამხედრო აქტიურობის ზრდა. მათ განაცხადეს, რომ საჭიროა მოისპოს უცხოეთის ყველა სამხედრო ბაზა და ინდოეთის ოკეანე გადაიქცეს მშვიდობის ზონად.

ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის მჭიდროდ თანამშრომლოს ინდოეთთან და სხვა სანაპირო სახელმწიფოებთან ინდოეთის ოკეანის რაიონში სამხედრო დაძაბულობის შენელების ინტერესებისათვის.

თანამოსაუბრეებმა სერიოზული შეშფოთა გამოთქვეს საშიში სიტუაციის გამო ახლო აღმოსავლეთში, სადაც გარეშე ძალები ხელს უშლიან მშვიდობიან მოწესრიგებას, ისარევენ აქეზებენ ახალი აგრესიული აქტებისათვის არაბი ხალხების, და უწინარეს ყოვლისა, პალესტინის არაბი ხალხის წინააღმდეგ.

ახლო აღმოსავლეთში ვითარების განხილვის დროს ლ. ი. ბრეჟნევმა ჩამოაყალიბა საბჭოთა კავშირის თანამიმდევრული პოზიცია ერაყისა და ირანის საომარ კონფლიქტთან დაკავშირებით. როგორც ყველაფრიდან ჩანს, თქვა მან, ზოგზოგები ცდილობენ კონფლიქტს მიანიჭონ კიდევ უფრო სერიოზული ხასიათი. ამას იმ ვარაუდით სჩადიან, რომ შეასუსტონ შეტაკების ორივე მონაწილე, რათა აღადგინონ გარეშე ძალების ის პოზიციები, რომლებიც დაკარგეს ირანში შაპის რეჟიმის დამხობის შემდეგ. საბჭოთა კავშირი იღვწის კონფლიქტის რაც შეიძლება სწრაფი მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის, ილაშქრებს ამ კონფლიქტში სხვა ქვეყნების ჩარევის წინააღმდეგ.

აღინიშნა, რომ ვითარების ნორმალიზაცია დაიწყო ავღანეთში, ინტერვენციის ორგანიზატორთა იმ ცდების მიუხედავად, რომ კვლავ გაამწვავონ დაძაბულობა. საბჭოთა კავშირი, თქვა ლ. ი. ბრეჟნევმა, ბოლომდე შეასრულებს მეგობარი ავღანეთისადმი დახმარების გაწევის თავის მოვალეობას. ამასთან ჩვენ ყოველ ღონეს ვხმარობთ, რათა ხელი შეეწყოთ ვითარების პოლიტიკურ მოწესრიგებას, დავეხმაროთ ავღანეთს დაიცვას სუვერენული, მეუმხრობელი სახელმწიფოს სტატუსი. ეს სავსებით შესაძლებელია ავღანეთის სახალხო რესპუბლიკის თავრობის ცნობილ წინადადებათა საფუძველზე.

როგორც სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ვითარების შესახებ აზრთა გაზიარებამ ცხადყო, მხარეები შეშფოთებით აღნიშნავენ, რომ კვლავ არის დაძაბული მდგომარეობა ამ რაიონში. აქ ვითარებაზე კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენს, როგორც ლ. ი. ბრეჟნევმა განაცხადა, ინდოჩინეთის სახელმწიფოებთან ინდოეთის მეგობრული ურთიერთობა.

ორივე მხარემ მაღალი შეფასება მისცა მიეთმხრობლობის მოძრაობის პოზიციურ როლს, მის წვლილს მშვიდობისათვის, იმპერიალიზმის, კოლონიალიზმისა და რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ლ. ი. ბრეჟნევი მიესალმა ინდოეთის პოზიციურ როლს მიეთმხრობლობის მოძრაობაში, გამოთქვა რწმენა, რომ ინდოეთი და ამ მოძრაობის სხვა მონაწილენი ყოველ ღონეს იხმარენ, რათა შეაკავშირონ და განამტკიცონ იგი ხალხთა მშვიდობისა და პროგრესის ინტერესებისათვის.

მოლაპარაკების დროს კმაყოფილებით აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის ურთიერთობის განუყოფელი და მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა ორი ქვეყნის ხელმძღვანელთა რეგულარული პოლიტიკური კონტაქტები, მეგობრული ვიზიტები. ეს ხელს უწყობს საბჭოთა კავშირ-ინდოეთის თანამშრომლობის განვითარებასა და სრულყოფას ორივე ქვეყნის ხალხთა და აზიისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის.

მხარეები ერთ აზრს ადგანან იმ მხრივ, რომ ახლანდელ რთულ საერთაშორისო ვითარებაში საბჭოთა კავშირ-ინდოეთის უმაღლესი დონის მოლაპარაკების გამართვა ხელშეშყობ ზესაძლებლობას იძლევა აქტუალურ პრობლემებზე აზრთა გაზიარებისათვის, შეამსუბუქებს აზიასა და მსოფლიოს სხვა რაიონებში დაძაბულობის შენელებისა და კონფლიქტური სიტუაციების ლიკვიდაციის გზების ძიებას.

საუბარმა გულწრფელობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში ჩაიარა.

მოლაპარაკებაში აგრეთვე მონაწილეობენ:

საბჭოთა კავშირის მხრივ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანამემწე ა. მ. ალექსანდროვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ლ. მ. ზამიატინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. პ. ფირიუბინი, სსრ კავშირის ელჩი ინდოეთში ი. მ. ვორონცოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის რეფერენტი ე. მ. სამოტეიკინი.

ინდოეთის მხრივ — საგარეო საქმეთა მდივანი რ. დ. სატჰე, ინდოეთის ელჩი საბჭოთა კავშირში ვ. კ. აბჯა, პრემიერ-მინისტრის თანაშემწე კ. რ. საჰიბი.

სურათზე: დელი. მოლაპარაკების დროს.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲭᲜᲔᲕᲘ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲐᲡ

დელი, 9 დეკემბერი. (საკდესი). სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი აქ შეხვდა ინდოეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობას. შეხვედრაში მონაწილეობდნენ ინდოეთის კომპარტიის ეროვნული საბჭოს გენერალური მდივანი რ. რაო, ინდოეთის კომპარტიის ეროვნული საბჭოს ცენტრალური სამდივნოს წევრები ნ. კ. კრიშნანი, ბ. გუპტა, რ. რედი, ი. გუპტა, გ. ნაირი, ი. სინჰა.

საბჭოთა კავშირის მხრივ შეხვედრაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ი. ვ. არხიპოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ლ. მ. ზამიატინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე ა. მ. ალექსანდროვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. პ. ფირიუბინი, სსრ კავშირის ელჩი ინდოეთში ი. მ. ვორონცოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველის მოადგილე მ. ე. მოგილევიჩი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის რეფერენტი ე. მ. სამოტეიკინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების სექტორის გამგე პ. ვ. კუცობინი.

აბსანაგი ლ. ი. ბრეჟნევი გულთბილად და გულითადად მიესალმა აბსანაგ რაჯუშვარა რაოსა და ინდოეთის კომუნისტური პარტიის სხვა ხელმძღვანელებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ყველა საბჭოთა კომუნისტის მხურვალე, ძმური მოკითხვა გადასცა მათ. საბჭოთა კომუნისტები, მთელი საბჭოთა ხალხი დიდი პატივისცემით ეკიდებიან ინდოეთის კომუნისტურ პარტიას, მის თანამიმდევრულ ბრძოლას სოციალური და ეკონომიკური პროგრესისათვის, ინდოეთის მშრომელი ხალხის ინტერესებისათვის, თქვა ლეონიდ ილიას ძემ. სსრ კავშირში დიდად აფასებენ იმ დიდ წვლილს, რომელიც ინდოეთის კომუნისტურ პარტიას შეაქვს სსრ კავშირისა და ინდოეთის ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარება-განმტკიცებაში.

აბსანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა, თუ როგორ ემზადებიან საბჭოთა კომუნისტები თავიანთი პარტიის XXVI ყრილობისათვის, როგორ მიმდინარეობს საბჭოთა კავშირში უახლოესი ათწლეულისათვის ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების საყოველთაო-სახალხო განხილვა, გააცხო ინდოელ აბსანაგებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საშინაო და საერთაშორისო საქმიანობის აქტუალური საკითხები.

ინდოელ მეგობრებთან საუბარში აბსანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა კმაყოფილება გამოთქვა პრემიერ-მინისტრ ინდირა განდისთან და ინდოეთის სხვა სახელმწიფო მოღვაწეებთან მოლაპარაკების მიმდინარეობის გამო. ამ მოლაპარაკებამ ცხადყო, რომ მეტ წილ აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე სსრ კავშირი და ინდოეთი ერთნაირ ან დაახლოებულ პოზიციებს ადგანან. სსრ კავშირისა და ინდოეთის მეგობრული ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას, მათი ფართო კეთილმეზობლური თანამშრომლობის განვითარებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ახლანდელ რთულ ვითარებაში, როცა საჭიროა მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების შეკავშირება საყოველთაო მშვიდობისადმი საფრთხის შენელებისა და საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღების ინტერესებისათვის.

ინდოეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელებმა გამოთქვეს რწმენა, რომ აბსანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტი ინდოეთში კიდევ უფრო განამტკიცებს სსრ კავშირისა და ინდოეთის მეგობრობასა და თანამშრომლობას. თქვენს ვიზიტს, თქვა აბსანაგმა რ. რაომ, მხურვალედ იწონებს ინდოელი ხალხი, რომელსაც საბჭოთა კავშირი საიმედო მეგობრად და კეთილ მეზობლად მიაჩნია. ინდოელი კომუნისტები მიესალმებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სამშვიდობო კურსს, თქვენს პირად წვლილს, აბსანაგო ბრეჟნევ, საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებაში, საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პროგრამის რეალიზაციაში, კომუნიზმის იდეალების გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

აბსანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და რ. რაომ მაღალი შეფასება მისცეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ინდოეთის კომუნისტური პარტიის ძმობისა და ინტერნაციონალური სოლიდარობის ტრადიციულ ურთიერთობას. მათ აღნიშნეს პარტიათა სრული ურთიერთგაგება იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლის ყველა საკითხში.

შეხვედრამ გულითადად, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

ᲤᲠᲔᲜᲐ ᲛᲝᲗᲐᲕᲠᲓᲔᲑᲐ

ᲤᲠᲔᲜᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ, 9 დეკემბერი (საკდესი). კოსმონავტები ლეონიდ კიზიმი, ოლეგ მაკაროვი და გენადი სტრეკალოვი ამთავრებენ დაგეგმილ სამუშაოებს „სალუტ-6“ სადგურში და, დასახული პროგრამის შესაბამისად, ხვალ დედამიწაზე ბრუნდებიან. ეკიპაჟი ამოწმებს „სოიუზ ტ-3“ ხომალდის საბორტო სისტემებს, ალაგებს მოწყობილობას ჩამოსაშვებ აპარატში და ასრულებს საბოლოო ოპერაციებს ავტომატური რეჟიმით ფრენისათვის სადგურის მოსამზადებლად.

დღეს, 13 საათსა და 23 წუთზე მოსკოვის დროით ორბიტული კომპლექსის შემადგენლობაში ფრენის პროგრამის შესრულების შემდეგ „პროგრეს-11“ ავტომატური სატრანსპორტო ხომალდი გამოეყო „სალუტ-6“ სადგურს. კოსმონავტები ამზანაგები კიზიმი, მაკაროვი და სტრეკალოვი აკონტროლებდნენ განპირაპირების პროცესსა და სატვირთო ხომალდის ჩამომორებას, რომელიც განაგრძობს ფრენას ავტომატური რეჟიმით.

მოძრაობის ტრაექტორიის გუშინ მოწყობილი კორექციის შემდეგ „სალუტ-6“ — „სოიუზ ტ-3“ კოსმოსური კომპლექსის ორბიტის პარამეტრებია:

— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან — 370 კილომეტრი;
— მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან — 290 კილომეტრი;
— მიმოქცევის პერიოდი — 90,8 წუთი;
— დახრილობა — 51,6 გრადუსი.

მუშაობა დედამიწისირგვლივ ორბიტაზე წარმატებით მიმდინარეობს.

ეკიპაჟი ჯანმრთელად არის და თავს კარგად გრძნობს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲒᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲩᲐᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲑᲢᲠᲝᲞᲘᲙᲣᲚᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲧᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲝᲜᲘᲡᲐᲜᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲡᲘᲒᲔᲚᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲛᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲡᲘᲡᲐᲒᲔ

ᲡᲣᲑᲢᲠᲝᲞᲘᲙᲣᲚᲘ სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაარსების 50-ე წლისთავთან დაკავშირებით ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად საკავშირო შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 8 დეკემბერი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐᲒᲜ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1980 წლის 7 დეკემბერს 61 წლისა გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი დირიჟორი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის კათედრის გამგე პროფესორი

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲚᲔᲕᲐᲜᲘᲡ ᲫᲔ ᲤᲐᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ მინისტრთა საბჭომ შექმნა ვ. ი. ფალიაშვილის დამკრძალავი კომისია, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ ნ. თაქთაქიშვილი (თავმჯდომარე), ს. ცინცაძე, გ. ორჯონიკიძე, ზ. ახჯიფარიძე, ო. გორდელი, ნ. ძვანია, ჯ. კახიძე, რ. მიმინოშვილი, ა. წულუკიძე, ი. კეკუაშაძე.

ვ. ლ. ფალიაშვილის დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

პარტიულ კომიტეტების პლენუმები

გაიმართა საქართველოს კომპარტიის ტყიბულის ახლად არჩეული საქალაქო კომიტეტის პირველი პლენუმი. პარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად აირჩიეს **გ. ხ. ფხაკაძე**, მეორე მდივნად — **თ. პ. კუბლაშვილი**, მდივნად — **ე. ი. სოფრომაძე.**

საქართველოს კომპარტიის ადგილების ახლად არჩეული რაიკომის პირველმა პლენუმმა პარტიის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია **გ. გ. ახმეტელი**, მეორე მდივნად — **ტ. ხ. პეტაშვილი**, მდივნად — **თ. ი. ბარბალიშვილი.**

საქართველოს კომპარტიის ახმეტის ახლად არჩეული რაიკომის პირველმა პლენუმმა პარტიის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია **ვ. ლ. ბატიაშვილი**, მეორე მდივნად — **ვ. ვ. ჯაფარიძე**, მდივნად — **ვ. ბ. შიომღვდლიშვილი.**

გაიმართა საქართველოს კომპარტიის დმანისის ახლად არჩეული რაიკომის პირველი პლენუმი. პარტიის დმანისის რაიკომის პირველ მდივნად აირჩიეს **ე. ა. ბერიძე**, მეორე მდივნად — **ე. ა. ხრიტაოსენკო**, მდივნად — **ა. ა. ხულელიმანოვი.**

საქართველოს კომპარტიის დუშეთის ახლად არჩეული რაიკომის პირველმა პლენუმმა პარტიის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია **ბ. შ. კერესელიძე**, მეორე მდივნად — **ე. ი. ღარიბაშვილი**, მდივნად — **ც. ი. ბეჭაური.**

გაიმართა საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის ახლად არჩეული რაიკომის პირველი პლენუმი. პარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველ მდივნად აირჩიეს **ი. თ. თოდუა**, მეორე მდივნად — **მ. მ. არდია**, მდივნად — **ნ. ნ. ფილია.**

საქართველოს კომპარტიის ლენტეხის ახლად არჩეული რაიკომის პირველმა პლენუმმა პარტიის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია **გ. ი. გუნავა**, მეორე მდივნად — **ო. გ. ზურაბიანი**, მდივნად — **ნ. გ. ლიპარტელიანი.**

გაიმართა საქართველოს კომპარტიის ორჯონიკიძის ახლად არჩეული რაიკომის პირველი პლენუმი. პარტიის ორჯონიკიძის რაიკომის პირველ მდივნად აირჩიეს **შ. ა. დევდარიანი**, მეორე მდივნად — **ჰ. ხ. შარიქაძე**, მდივნად — **დ. გ. მშვენიერაძე.**

საქართველოს კომპარტიის თერჯოლის ახლად არჩეული რაიკომის პირველმა პლენუმმა პარტიის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია **ა. ვ. ბურჯანაძე**, მეორე მდივნად — **გ. ვ. მაკარიძე**, მდივნად — **ნ. ი. ქოჩიაშვილი.**

გაიმართა საქართველოს კომპარტიის თეთრი წყაროს ახლად არჩეული რაიკომის პირველი პლენუმი. პარტიის თეთრი წყაროს რაიკომის პირველ მდივნად აირჩიეს **ჯ. დ. ბედუაძე**, მეორე მდივნად — **ნ. ი. მელაძე**, მდივნად — **ჯ. გ. ქოქიაშვილი.**

საქართველოს კომპარტიის კასპის ახლად არჩეული რაიკომის პირველმა პლენუმმა პარტიის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია **ვ. ი. კვალიაშვილი**, მეორე მდივნად — **ე. ვ. შავლიაშვილი**, მდივნად — **მ. ი. ფეიქრიშვილი.**

გაიმართა საქართველოს კომპარტიის წულუკიძის ახლად არჩეული რაიკომის პირველი პლენუმი. პარტიის წულუკიძის რაიკომის პირველ მდივნად აირჩიეს **ვ. ა. კვარაცხელია**, მეორე მდივნად — **ბ. გ. ფალოძე**, მდივნად — **ნ. მ. მამფორია.**

საქართველოს კომპარტიის ჩხოროწყუს ახლად არჩეული რაიკომის პირველმა პლენუმმა პარტიის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია **კ. ი. ქაჯაია**, მეორე მდივნად — **ა. შ. ჩიქოვანი**, მდივნად — **ნ. ბ. პაპასყირი.**

გაიმართა საქართველოს კომპარტიის სოხუმის ახლად არჩეული საქალაქო კომიტეტის პირველმა პლენუმმა. პარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად აირჩიეს **რ. გ. ქეცბაია**, **მეორე** მდივნად — **ზ. ხ. ავიძბა**, მდივნად— **ა. ხ. ორლოვი.**

გაიმართა საქართველოს კომპარტიის ოჩამჩირის ახლად არჩეული რაიკომის პირველი პლენუმი. პარტიის ოჩამჩირის რაიკომის პირველ მდივნად აირჩიეს **კ. თ. ხალია**, მეორე მდივნად — **ტ. ვ. კაკუჩაია**, მდივნად — **დ. ა. ბიგვავა.**

პარტიულ კონფერენციებზე

მთას არ დაეროვებს მთიელი

საკოლმეურნეო მშენებლობის ვეტერანს სანდრო ჩიტაშვილს ამ 21 წლის წინათ უკანაუბნის ალპურ მთებში შეეხვდი. დამახსოვდა მისი ნათქვამი: მთავარი ის კი არ არის, რომ მარტო ჩვენი კოლმეურნეობა იყოს მოწინავე, ჩვენს დონეს სხვებიც რომ მიაღწევენ, აი საქმე მაშინ მოიგებსო. ვეტერანი კომუნისტი შორს იხედებოდა. მარტო საკუთარი საქმიანობით არ იფარგლებოდა, საერთო წარმატებას ესწრაფვოდა, ამასთან სურდა ყველა მეცხვარეს შეძლებულად ეცხოვრა...

ამ დღეს, ლენინგორის რაიონის XXVI პარტიულ კონფერენციაზე კვლავ შევხვდი სანდრო ჩიტაშვილს — ამ რაიონის თითქმის ყველა პარტიული კონფერენციის დელეგატს. მოვაგონე მაშინდელი ნათქვამი და თან დავაყოლე — ხომ კმაყოფილი ხართ, ნათქვამი თითქმის აგიხდათ, მეცხვარეები შეძლებულად ცხოვრობენ-მეთქი.

— ასეა, საქმის სიყვარულით და ერთგულებით, წმინდა სინდისით და გამჯე მარჯვენით მიღწეულიც სინამდვილედ იქცევა, — რწმენა ემჩნეოდა ხანდაზმული კომუნისტის სიტყვებს, კაცისა, რომელიც 35 წელზე მეტ ხანს ხელმძღვანელობდა კოლმეურნეობა „საქართველოს“.

თითქოს მისი ნათქვამის გაგრძელება იყო კონფერენციაზე სოფელ უკანამხრის კოლმეურნეობა „საქართველოს“ პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნის ვარდო ჩიტაშვილის გამოსვლა. ვარდოც ძველი კომუნისტია, ორი ათეული წელია ირჩევენ პირველადი პარტორგანიზაციის მდივნად.

წლევანდელი გამარჯვების ფესვები ღრმა არის, თქვა მან. იგი წლების მანძილზე მუყაითმა შრომამ განაპირობა. ბატკანს ბატკანი ემატებოდა და გამრავლდა ცხვარი, წელში გაიმართა მეცხვარეც.

მართალი უთქვამთ, წარმატების თავიდათავი კადრიაო. ამ ხუთწლედში მთლიანად გადახალისდა სოფლის ხელმძღვანელობა. რაიონის მეცხვარეობის ხუთივე მეურნეობას სათავეში ჩაუყენეს ახალგაზრდა, პრინციპული, პატიოსანი ადამიანები. სოფლის მეურნეობის რაიონულ სამმართველოს კი სახელოვანი. მეცხვარის გირჩი ბაშარულის შვილი იორამი. მისი შრომითი ბიოგრაფიაც მეცხვარეობით დაიწყო. მუშაობდა ფერმის გამგედ, კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, ჩინებულად იცის მეცხვარის ხასიათი. უკანამხარის კოლმეურნეობამ მისი ხელმძღვანელობისას ორჯერ მიიღო საკავშირო გარდამავალი წითელი დროშა, მერე ჩამორჩენილ, ლარგვისის კოლმეურნეობაში გადაიყვანეს და აქაც იმარჯვა—შარშან ლარგვისელებიც გახდნენ საკავშირო გარდამავალი დროშის მფლობელნი. ახლა კი მთელმა რაიონმა მიაღწია თვალსაჩინო შედეგებს.

რა აღელვებთ ლენინგორეღლებს, რა მიჯნებია დასაძლევი, რა რეზერვებია ასამოქმედებელი? პარტიულმა კომიტეტებმა, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა საიათ უნდა წარმართონ მუშაობა, რომ წარმატებით შესრულდეს პარტიის მიზანდასახულობანი, რომ განუზრელად ამაღლდეს სასოფლო-სამეურნეო წარმოება? ეს პრობლემები კარგად აისახა პარტიის ლენინგორის რაიკომის სანგარიშო მოხსენებაში, რომელიც რაიკომის პირველმა მდივანმა ა. თინიკაშვილმა გააკეთა.

მთიელის განძი ცხვარია. ლენინგორის რაიონშიც მამა-პაპითგანვე მისდევენ ამ საქმიანობას. მეცხვარე თვითონ ლუკმას მოიკლებს და ცხვარს არას გაუუჭირებს. ზამთარ-ზაფხულ წვიმასა და თოვლში, ცოლ-შვილს მოცილებული კაცი ცხვარში ატარებს წუთისოფელს. აი წლევანდელი მათი მამაცური შრომის შედეგიც: ყოველ 100 ნერგზე საშუალოდ რაიონში 94 ანუ 40500 სული ბატკანია. გამოზრდილი, ყოველ ცხვარზე 3 კილოგრამი მატყლი, ანუ გეგმით გათვალისწინებულზე 500 გრამით მეტია მოღებული. ასეთი წარმატება რაიონს არასოდეს არ ჰქონია. მომხსენებელმა სიამაყით უთხრა კონფერენციას, რომ ამ დღისათვის ლენინგორის რაიონმა გადაჭარბებით შეასრულა ყველა სახეობის პირუტყვის სულადობის, ნამატის მიღებისა და შენარჩუნების, მეცხოველეობის ძირითად სახეობათა პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის ხუთწლედით დასახული ამოცანები. ციფრებმა უფრო ნათელი გახადა მიღწეული: მეათე ხუთწლედში, მეცხრე ხუთწლედთან შედარებით, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი 1474 სულით მეტი ჰყავთ, ცხვარი — 9940 სულით მეტი, ღორი — 1177 სულით მეტი. ამავე პერიოდში რძის წველადობა თითოეულ ძროხაზე 361 კილოგრამით გაიზარდა, მატყლის ნაპარსი კი ყოველ ცხვარზე — 500 გრამით. ეს რესპუბლიკაში საუკეთესო მაჩვენებელია.

წარმატებები უპირველესად მოპოვებულია დიდი გარჯის შედეგად, პარტიულ-ორგანიზატორული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ამაღლებით, სწორი ხელმძღვანელობითა და საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებით.

კონფერენციაზე სიამაყით დაასახელეს შრომის მოწინავეები: ლენინის ორდენოსანი ს. ჩიტაშვილი, ლენინისა და ოქტომბრის რევოლუციის ორდენოსნები გ. ხუბულოვი და ძ. ხინჩაგოვი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვ. ბუხტური, ამირან, შორია და გივი ქარქუსოვები, რომლებმაც ნამატი 100 პროცენტით შეინარჩუნეს. მათი და სხვათა თავდადებული შრომის შედეგად ამაღლდა სოფლის ეკონომიკა. კაცდღის ღირებულებამ მეცხვარეობის მეურნეობებში 6-8 მანეთი შეადგინა. ახალ ხუთწლედში ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო ამაღლდება. ახლა ცხვარგამრავლებული ფარები ყიზლარში იზამრეებენ. 86.550 სულის ნაცვლად იქ 91.000 სული საზოგადოებრივი ცხვარი ჰყავთ. პირუტყვს უხვად აქვს საკვები, აშენდა და შეკეთდა ბინები, ფარეხები, სამატყნეები, საჩვილეები...

კონფერენციამ ახალ ხუთწლედში მეცხვარეობის განვითარების ბაზად ნერბის სულადობის ზრდა მიიჩნია. საჭიროა რაიონის ცხვარი მომავალში მთლიანად შეიცვალოს თუშური ჯიშით. ამ მიზნით უკვე შემოყვანილია 3000 სული. ეს ჯიში კარგად ეგუება მთის პირობებს, მეტ ხორცსა და მატყლს იძლევა.

კონფერენციაზე დიდი ყურადღება დაეთმო კაპიტალური მშენებლობის საკითხებს, აღინიშნა, რომ მწყემსთა საცხოვრებელი სახლების, ბოსლების მშენებლობა ძალზე ჭიანურდება. რაიონში არც ერთი ტიპობრივი სახბორე არ არის, ყოველწლურად კი 2000 ხბოს იღებენ. გულისტკენით აღინიშნა, რომ რაც შენდება, ისიც უხარისხოა. მაგალითად, მორბედაანთ უბანში (ლენინგორის საბჭოთა მეურნეობა) ახალი საძროხის აღმოსავლეთის კედელი სამჯერ დაინგრა და აშენდა. მშენებლები ცუდად მარაგდებიან საშენი მასალებით. ეს განსაკუთრებით ითქმის კასპიისპირეთის მშენებლობებზე. ამ საქმის მოგვარება ეთხოვა შესაბამის რესპუბლიკურ სამინისტროებს.

საკვები ბაზა ლენინგორელთათვის ჯერჯერობით ისევ პრობლემად რჩება. სათიბ-საძოვრების მოვლა-პატრონობა სათანადო სიმაღლეზე ვერ დგას. დელეგატებმა მოითხოვეს სათიბებამდე საბაგირო გზების გაყვანა, აგრეთვე ყიზლარში ამ ხუთი წლის წინათ მთის სარგებლობაში არსებული 4 ათასი ჰექტარი სათიბი ფართობის დაბრუნება, მათი გასარწყავება და სხვ.

დელეგატებმა — ბალაანის კოლმეურნეობის ფერმის გამგემ ვ. ბალაშვილმა, ზაყორის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ ე. მარგიევმა, ლარგვისის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ი. ბერიანიძემ, ლენინგორის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა გ. ლოთიშვილმა და სხვებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მთაში შემცირდა მუშახელი. ეს კი მათ აიძულებს, დაიქირაონ მწყემსები, რაც მეურნეობათა ეკონომიკას დიდ ზარალს აყენებს.

მთას მეტი გულისყური უნდა. გზებიც უნდა კეთილმოეწყოს და მწყემსთა საყოფაცხოვრებო პირობებიც გაუმჯობესდეს. დღევანდელობის მძლავრი მაჯისცემა უნდა ისმოდეს სოფელში, მაშინ მთაში დარჩება მთიელი, შეჩერდება მიგრაცია. არადა, მარტო სოფელ წოლდიდან უგზოობამ აიძულა 20 ოჯახი გადასახლებულიყო.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ მოსახლეობის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების დონე ჯერ კიდევ დაბალია. მთის სოფლები პირველი მოთხოვნილების საქონლითა და პროდუქტებით სათანადოდ ვერ მარაგდებიან. დელეგატებმა მოითხოვეს საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების ქსელის გაფართოება. მთის ისედაც მკაცრ რელიეფურ პირობებს სხვა, თავად ადამიანებზე დამოკიდებული პრობლემებიც აღარ უნდა დავამატოს. მით უმეტეს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმზე, როგორც სხვა არაერთ დიდ ფორუმზე, ადამიანის კეთილდღეობაზე ზრუნვას კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი როგორც პარტიის ერთ-ერთ მაგისტრალურ ამოცანას. იგივეს აღნიშნავს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილი რესპუბლიკის ყველა კომუნისტისა და მშრომელისადმი: „უკანასკნელი წლების მანძილზე პარტიის ეკონომიკურ სტრატეგიაში მკვეთრად გამოიკვეთა ღრმა შემობრუნება იმ მრავალფეროვანი ამოცანების გადაწყვეტისაკენ, რომლებიც ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებასთან არის დაკავშირებული“.

უნდა აღინიშნოს ერთი საკითხიც: როგორც მომხსენებელი, ისე კამათის მონაწილე ამხანაგები ძირითადად სამეურნეო საქმიანობით შემოიფარგლნენ. ფართო მსჯელობა არ გამართულა პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობაში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებზე. არადა, მთელი რიგი პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობა ჯერ კიდევ ვერ უპასუხებს სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახულ ამოცანებს, პარტიული მშენებლობის საკითხებზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ ჩამოყალიბებულ დასკვნებსა და მითითებებს. ზოგიერთი პირველადი პარტიული ორგანიზაცია სრულყოფილად ვერ ხელმძღვანელობს სამეურნეო და მშრომელთა მასობრივ ორგანიზაციებს, სათანადო კონტროლს არ უწევს საკუთარი და ზედმეტი — ეკონომიკურ ორგანიზაციებს მიერ ხელმძღვანელობათა შესრულების მიმდინარეობას. მოკლედ, ეს ადგილი ერ დგას ლენინური პარტიული, წინააღმდეგ ... ორგანიზაციისა, ლენინგორის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის პირველადი, ნაგომეევის, სალბიერის, წოლდის, წუბენის, კატრიულის საბრიგადო პარტიული ორგანიზაციების ორგანიზაციულ-პარტიული და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა, დაბალია ლექციური პროპაგანდა და საგაგიტაციო-მასობრივი მუშაობის დონე.

მეათე ხუთწლედმა კარგი ესტაფეტა გადასცა მეთერთმეტეს. ლენინგორელი კომუნისტების მძლავრი ნაბიჯები იმის უტყუარი საწინდარია, რომ ისინი წარმატებით მიაღწევენ ახალ მიჯნებს. სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის გაჩაღებულმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ შვა ახალი თაოსნობა — „მოწინავის შედეგები ყველა შრომითი კოლექტივის შედეგი უნდა გახდეს!“ მისი ინიციატორები ყიზლარში მყოფი ლენინგორელი მეცხვარეები არიან. მათ ვალდებულება იკისრეს სკკპ XXVI ყრილობას ყოველ 100 ნერგზე 85 ბატკნის ნაცვლად 95 ბატკნის მიღება უპატაკონ, აგრეთვე თითოეულ ცხვარზე გაისად გეგმით გათვალისწინებულზე 600 გრამით მეტი მატყლი გაპარსონ და 50 ტონა ცხვრის ყველი მიიღონ.

კონფერენციაზე სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრმა კ. გარდაფხაძემ და სამხრეთ ოსეთის პროფსაბჭოს თავმჯდომარემ უ. სანაკოევმა.

გ. თედეევი.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

საკლესიასა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვაცნობინებენ

საერთაშორისო ცხოვრება დღევანდელი ჟურნალიდან

დიდი მოვლენა

დელი. დელის გამომცემლობამ „ნავ იუგ პაბლიშერზმა“ ჰინდი ენაზე გამოუშვა წიგნი — „ლ. ი. ბრეჟნევი. ცხოვრების ფურცლები“ — მეორე გამოცემა.

„სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ბიოგრაფიის გამოცემა დიდი მოვლენაა ინდოეთის ცხოვრებაში, — განაცხადა გამომცემლობის დირექტორმა პრიტან სინგჰმა. — ჰინდიზე მოლაპარაკე მილიონობით ინდიელს შესაძლებლობა მიეცა უფრო ახლოს გაეცნოს თანამედროვეობის გამოჩენილი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწის, ინდოეთის დიდი მეგობრის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. ჩვენ განსაკუთრებით ვამაყობთ იმით, რომ მკითხველები ამ წიგნს მიიღებენ იმ დღეებში, როცა მთელი ინდოეთი ხალხი გულითადად ხვდება ლ. ი. ბრეჟნევს ჩვენი ქვეყნის მიწა-წყალზე, როცა ესოდენ დიდია ინდოეთის საზოგადოებრიობის ფართო ფენების ინტერესი საბჭოთა კავშირისადმი.

წიგნის — „ლ. ი. ბრეჟნევი. ცხოვრების ფურცლები“ — მეორე გამოცემის გამოქვეყნების გამო ინდოეთის დედაქალაქში გაიმართა საზოგადოებრიობის საღამო, რომელშიც მონაწილეობდნენ თვალსაჩინო პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები, ცნობილი მწერლები, ჟურნალისტები და გამომცემლები.

საღამოზე გამოსვლისას პროგრესულ მწერალთა სრულიად ინდოეთის ასოციაციის გენერალურმა მდივანმა ბჰიშამ საჰნიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ინდოელი მკითხველი კარგად იცნობს ლ. ი. ბრეჟნევის წიგნებს. ინდოეთის ხალხთა 12 ენაზე გამოიცა მისი 29 ნაწარმოები, მათ შორის ტრილოგია „მცირე მიწა“, „აღორძინება“ და „ყამირი“. ეს წიგნი, განაცხადა თვალსაჩინო პუბლიცისტმა, ინდიელ ქალთა ეროვნული ფედერაციის თავმჯდომარემ არუნა ასაფ ალიმ, მოწმობს უდიდეს წვლილს, რომელიც ლ. ი. ბრეჟნევმა შეიტანა ომისაგან დანგრეული მეურნეობის აღდგენასა და საბჭოთა ეკონომიკის განვითარებაში, მოგვითხრობს მის დაუცხრომელ მოღვაწეობაზე, რომლის მიზანია საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესება, სსრ კავშირის ძლიერების განმტკიცება, ქვეყნად მშვიდობის უზრუნველყოფა.

ბირთვული შეიარაღების შეზღუდვისათვის

ჟენევა, 9 დეკემბერი. აქ გამართა პაგუოშის ორი დღის თათბირი ევროპაში ბირთვული შეიარაღების პრობლემის გარშემო. თათბირში მონაწილეობა მიიღეს ამერიკის შეერთებული შტატების, სსრ კავშირის, საფრანგეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ფინეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და მთელი რიგი სხვა ქვეყნების მეცნიერებმა, თვალსაჩინო პოლიტიკურმა და სამხედრო მოღვაწეებმა.

თათბირის მონაწილეებმა მიიღეს განცხადება, რომელშიც ხაზგასმულია, რომ აუცილებელია ბირთვული შეიარაღების შეზღუდვა ევროპაში. ამასთან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკების განგრძობას ამ პრობლემაზე. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ გამალებული ბირთვული შეიარაღების ახალი საშიში გაძლიერება, რომლის საფრთხეც შეიქმნა ნატოს იმ გადაწყვეტილების შედეგად, რომ დასავლეთ ევროპაში დამატებით განალაგოს ამერიკის საშუალო სიშორის ახალი რაკეტები.

განცხადებაში აღნიშნულია იმის დიდი მნიშვნელობა, რომ უსწრაფესად შევდგეს ძალაში სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულება, რაც აუცილებელი პირობაა ევროპაში ბირთვული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ შესაძლო მორიგებათა რეალიზაციისთვის.

პაგუოშის მოძრაობის ქენევის შეხვედრის მონაწილეებმა დიდი შეშფოთება გამოთქვეს იმის გამო, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოაცხადეს „შეზღუდული“ ბირთვული ომის დოქტრინა, რომელმაც, მათი აზრით, შეიძლება გამოიწვიოს მსოფლიო კატასტროფა. მათ ხაზი გაუსვეს მნიშვნელოვან როლს, რომელიც მსოფლიო საზოგადოებრიობამ უნდა შეასრულოს გამალებული შეიარაღების შეწყვეტასა და ომის საშიშროების შემცირებაში.

იცავენ რევოლუციას

ანტანანარივუ, 9 დეკემბერი. განვავითაროთ წარმოება, გავაძლიეროთ სიფხიზლე, — ასეთი უნდა იყოს ჩვენი პასუხი მალაგასიის რევოლუციის მტრებისადმი, განაცხადა უმაღლესი რევოლუციური საბჭოს წევრმა, მადაგასკარის დამოუკიდებლობის კონგრესის პარტიის თავმჯდომარემ რიშარ ანდრიანანტუმ.

ჩვენს ქვეყანაში რევოლუციურ გარდაქმნათა მტრები, აღნიშნა მან, გამოდიან აქ პარტიის წევრთა მიტინგზე და ხელოვნურად აზიანებენ ამა თუ იმ პრობლემას, რათა დაამარცხონ მთავრობის არაკომპეტენტურობა, ცდილობენ მიაღწიონ მის დამხობას.

მადაგასკარის დამოუკიდებლობის კონგრესის პარტიას მიაჩნია, თქვა მისმა თავმჯდომარემ, რომ ასეთ პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გაავაძლიეროთ რევოლუციის დაცვის ეროვნული ფრონტი.

ბრაზილიის ეკონომიკურ თანამშრომლობას მაღალი შეფასება მისცა ინდიოეთის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ და თევზის რესურსების მინისტრმა ანის პახან იაჰიამ ქალაქ ელ-მუკალაში თევზის საკონსერვო ქარხნის მუშების წინაშე საზეიმო მიტინგზე გამოსვლისას, რომელიც ორმხრივი თანამშრომლობის ამ დიდმნიშვნელოვანი ობიექტის მწყობრში ჩადგომის პირველ წლისთავს მიეძღვნა.

საქმიანობისათვის

შეერთებული შტატები, 9 დეკემბერი. შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ედმუნდ მუსკიმ ალბანეთის, ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, ინდოეთის, ირანის, ისრაელის, ინდონეზიის, ეგვიპტის, ავსტრიის, ბელგიის, ბრაზილიის, ბურმის, ბერძნეთის, ბულგარეთის, ბურუნდის, ბელორუსიის, ბენინის, ბოლივიის, ბოტსვანის, ბუტანის, ბურკინა ფასოს, ბაჰამის, ბანგლადეშის, ბარბადოსის, ბაჰრეინის, ბელიზის, ბენელუქსის, ბერმუდის, ბაიკონურის, ბაიონის, ბაიერნის, ბაიერეთის, ბაიერეთ-ბაიროიტის, ბაიერეთ-ბაიროიტ-ბაიერეთ-ბაიროიტ-ბაიერეთ-ბაიროიტ-

XXVI სკკპ ყრილობის შესახებ

ᲐᲦᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

ᲒᲐᲛᲝᲬᲛᲐᲣᲠᲔᲑᲐ ● ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐ ● ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲐ

ᲒᲐᲜᲕᲘᲮᲘᲚᲐᲕᲗ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XXVI ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ „ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ 1981-1985 ᲬᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ 1990 ᲬᲚᲐᲛᲓᲔ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ“

XXVI ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ ᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐᲜ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲔᲜᲔᲠᲒᲘᲘᲡ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ 1,2-ᲯᲔᲠ, ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜᲘ ᲰᲘᲓᲠᲝᲔᲜᲔᲠ�გᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲠᲘᲡ ᲐᲨᲔᲜᲔᲑᲐ, ᲒᲐᲛᲝᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ.

ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲓᲐᲒᲕᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲔᲜᲔᲠᲒᲘᲘᲡ ᲬᲐᲛᲛᲐᲣᲨᲐᲕᲔᲑᲐ 1,2-ᲯᲔᲠ, ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜᲘ ᲰᲘᲓᲠᲝᲔᲜᲔᲠᲒᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲠᲘᲡ ᲐᲨᲔᲜᲔᲑᲐ, ᲒᲐᲛᲝᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲔᲜᲔᲠᲒᲘᲘᲡ ᲬᲐᲛᲛᲐᲣᲨᲐᲕᲔᲑᲐ ᲓᲐᲓᲒᲔᲑᲐ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲒᲐᲜᲕᲘᲮᲘᲚᲐᲕᲗ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XXVI ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ „ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ 1981-1985 ᲬᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ 1990 ᲬᲚᲐᲛᲓᲔ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ“

ᲙᲐ�პᲘᲢᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲔᲠᲡ�პᲔᲥᲢᲘᲕᲐ

„ᲐᲛᲐᲦᲐᲚᲚᲝᲗ ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲘᲜᲓᲣᲡᲢᲠᲘᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲝᲜᲔ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ ᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲔᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘ�პᲘ, ᲒᲐᲜᲐᲛᲐᲢᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲗ ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲮᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲘ ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲮᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲘ ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲮᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲮᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲘ

წარდგენილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრემიაზე — „ხუთწლედის მატიანე“

წუთისოფლის ალმართ-დალმართი

თელავის ს. ორჯონიკიძის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში დიდი წარმატება ხვდა წილად ცნობილი ქართველი დრამატურგის გიორგი ხუხაშვილის პიესას „ალმართ-დალმართი“.

უნდა აღინიშნოს, რომ გ. ხუხაშვილის უაღრესად პრობლემური, აქტუალური ყღერადობის პიესები („ზღვის შვილები“, „მთაწმინდის მთვარე“, „ცხოვრება კაცისა“, „მიდიოდნენ ჯარისკაცები“, „მოსამართლე“, „ცა და მიწა“, „მარადისობის ორი საათი“ და სხვა) იმთავითვე წარმატებით დაიდგა ჩვენი რესპუბლიკის თეატრებში.

სრულიად კანონზომიერად მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ თელავის სახელმწიფო თეატრში დადგმული სპექტაკლი „ალმართ-დალმართი“ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რუსთაველის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის „ხუთწლედის მატიანის“ პრემიის მოსაოვებლად წარადგინა.

მართლაც რომ, საინტერესო ისტორია აქვს გ. ხუხაშვილის პიესას „ალმართ-დალმართი“. ამის დასადასტურებლად დაინტერესებულ მკითხველს მხოლოდ რამდენიმე დეტალს შევახსენებთ.

თავდაპირველად, ეს იყო ამ ოთხიოდე წლის წინათ, მწერალი გ. ხუხაშვილი გამომცემლობა „ნაკადულის“ მივლინებით მახარაძის რაიონის სოფელ ორმეთში გაემგზავრა, სადაც სოციალისტური შრომის გმირზე გუგული ქადეიშვილზე დაწერა მრავალმხრივ საყურადღებო ნარკვევი „ერთი დღე გმირთან“, რომელიც შემდეგ მწერალმა შეიტანა ნარკვევების კრებულში „ხუთწლედის ადამიანები“. ზემოთ აღნიშნულმა ნარკვევმა მკითხველი საზოგადოების ფართო ინტერესი გამოიწვია და შედეგმაც არ დააყოვნა — გაზეთმა „პრავდამ“ მაღალი შეფასება მისცა გ. ხუხაშვილის ნარკვევს.

და აი, გაჩნდა სურვილი ამ დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით შექმნილიყო პიესა. მწერალი დარწმუნდა, რომ სწორედ პიესაში შეძლებდა უფრო მკაფიოდ წარმოენჩინა გმირი ქალის შრომისა და ცხოვრების მიღწევები. ასე შეიქმნა პიესა „ალმართ-დალმართი“.

1976 წელს პიესა დაიდგა მახარაძის ალ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო თეატრში (რეჟისორი — სერგო ახალაძე). სპექტაკლმა მახარაძელთა დიდი მოწონება დაიმსახურა, ხოლო მთავარი როლის შემსრულებელ ზაირა კალანდაძეს ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრემია მიენიჭა.

დიდი შემოქმედებითი სიხარული მოუტანა პიესამ თელავის სახელმწიფო თეატრს, როცა მათ 1977 წელს საბჭოთა საქართველოს 55-ე წლისთავთან დაკავშირებით სპექტაკლი თბილისელი მაყურებლის წინაშე წარმოადგინეს. დედაქალაქმა თეატრის შემოქმედებით კოლექტივს დიდი გამარჯვება მიულოცა. სპექტაკლი დაჯილდოვეს საქართველოს თეატრალური საზოგადოების დიპლომით.

რაოდენ სასიხარულოა, რომ „ალმართ-დალმართის“ სცენური ცხოვრება ამით არ დასრულებულა. ახლახან თელავის სახელმწიფო თეატრის შემოქმედებითმა კოლექტივმა სპექტაკლი აღადგინა, ახალი სიცოცხლე შთაბერა მას.

აქაც წინა პლანზეა დიალოგი-განსჯა ადამიანის ცხოვრებაზე, მის დანიშნულებაზე, იმ რთულ და საინტერესო თავგადასავალზე, რომელიც პიესის გმირს ბედმა არგუნა. ავტორი წმინდ ვერ სცილდება თავის გმირებს და მთხრობელის სახით თვითონ მოქმედებს პიესაში, რათა ჩვენი გულისყური კიდევ უფრო მეტად მიაპყროს ყველაზე მძაფრ და დრამატულ ეპიზოდებს. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის ნუგზარ ლორთქიფანიძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი, როგორც სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორი, მართლაც რომ, არსად და არაფერში არ ღალატობს დრამატურგს. პიესის დედაარზში ღრმად ჩაწვდომის შემდეგ პოულობს ერთადერთ სწორ გზას და ცენტრალურ და მის მომიჯნავე მოვლენებს თავს უყრის ერთ სცენურ მოედანზე, თითქმის უდეკორაციო სივრცეში, სადაც ერთმანეთს ორგანულად ერწყმის სცენური პირობითობა და მოგლენათა სიმართლე. პიესა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ბოლოდან იწყება... ჩვენ წინაშე დგას მრავალჭირგამოვლილი, სოფლისა და ხალხის წინაშე ვალმოხდილი გმირი ქალი. სცენური მოგონებები იწყება მშობლებისაგან, შემდეგ უსამართლოდ შეურაცხყოფილი და შერისხული უიღბლო ქორწილი... ბოლოს კი თავდება მისი ერთადერთი ვაჟის ქორწილით. მაგრამ ეს მხოლოდ ბედნიერი ფინალი როდია, იმ უიღბლო ქორწილიდან ამ ქორწილამდე ხომ ადამიანი გადაივლის ცხოვრების ალმართ-დალმართებს, გზად შეეყრება მრავალი ტანჯვა და სიხარული... და თავისი ყველაზე ნაღელი კერპის, ოჯახის ბედნიერებას მთელ სოფელთან ურთიერთობაში ეძიებს.

მარიამ ქადაგიძე (მსახიობი ნაზი არავიაშვილი) და მისი მეუღლე ანტონ ყალიჩავა (მსახიობი ზურაბ ანთელავა) მოთმინებით ეძებენ ოჯახური ბედნიერებისაკენ მიმავალ გზას და ეს გზა ია-ვარდით მოფენილი როდია, ცხოვრების ჯულის გამაწვრილებელ ორომტრიალში ისინი მთელი არსებით გრძნობენ და განიცდიან, რომ ეს არის ურთუოესი წინააღმდეგობებით დანაღმული გზაწვრილი, რომლის დაძლევა-გადალახვის პროცესში ყალიბდება გმირის მთლიანი ხასიათი და ამასთანავე მთელი თანამედროვე ქართული სოფლის ცხოვრების პანორამა. მარიამის ცხოვრების მნიშვნელოვანი ეპიზოდები აღსავსეა სიმართლით, სიკეთითა და ჭეშმარიტი ადამიანური სიბრძნით. ამ ქალმა ხომ თავისი უმწეო მხრებით შეძლო ეტარებინა ადამიანის უმაღლესი მოვალეობის უმძიმესი ტვირთი, რათა გადაერჩინა ყველაზე ლამაზი და უწმინდესი— სიყვარული. გულუბრყვილო, ნებიერად გაზრდილი გოგონადან ცხოვრების მძიმე უღელში შებმულ ქალამდე მაყურებლის წინაშე მთელი სიცხადით გადაიშლება ჩვენი თანამედროვის რთული და დაძაბული ოჯახური ცხოვრება, ომისაგან სამუდამოდ დაღდასმული ოჯახისა და ხალხის ურთიერთობა და სრული სისავსით გამოიკვეთება ცხოვრებისეული სიბრძნე, რომ ჭეშმარიტი ადამიანური ბედნიერების ერთადერთი სწორი გზა მხოლოდ და მხოლოდ პატიოსანი შრომის გზაა, რამაც უამრავი გაჭირვება და განსაცდელი გადაატანინა მარიამ ქადაგიძეს. ეს არის სიყვარულითა და სიკეთით შთაგონებული ადამიანის სულიერი გმირობა. უფრო მეტიც, ეს არის მიწიერი სიმართლე, ცხოვრების რეალური სიმართლე, რომელსაც დრამატურგი შეუღამაზებლად, სულისშემძვრელი სიმართლით გადმოგვცემს.

სწორედ ამიტომ არის, რომ დარბაზი სულგანაბული ადევნებს თვალყურს მარიამის ცხოვრებას, მთლიანად მის მხარეზეა და მთელი არსებით თანაუგრძნობს მას... სჯერა და უხარია, რომ „სოფელმა ყველაფერი იცის, კარგიც და ცუდიც...“

ვის არ სმენია მოსაზრება, აქაოდა, მწერლობაში დადებითზე მეტად უარყოფითი გმირის წარმოჩენა ხელეწიფებათო. გ. ხუხაშვილმა ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა, რომ დადებითი გმირები მოგონილი სქემები როდია, თუკი მათ ცხოვრებისეული სიმართლე უდევთ საფუძვლად.

სპექტაკლში შთამბეჭდავ სახეებს ქმნიან საქართველოს დამსახურებული არტისტები: ოლია შუბითიძე (დესპინე), გიორგი მაღუჩაშვილი (შოთა ყალიჩავა), ალექსი კუპატაძე (ლევან კილაძე), ბეგლარ მარტიაშვილი (ამბაკო), ბიძინა ჯავახია (მათე), გიორგი ბაპოშვილი (სიმონი), დავით მდივნიშვილი (იოსები). მსახიობები: თემურ ხუნაშვილი (მთხრობელი) და საერთოდ, მთელ შემოქმედებითს კოლექტივს მიუძღვის ღვაწლი სპექტაკლის გამარჯვებაში; უნდა შეგვაქოთ დ. ბალარჯიშვილი (მხატვარი) და დალი გურგენიძე, რომელსაც კარგად შეუფრქვია მუსიკალური ფონი რეჟისორის მიერ ორიგინალურად გადაწყვეტილი სპექტაკლისათვის.

ა. კალაძე,
თეატრმცოდნე.

„კომუნისტის“ ფოტოსტენდი

სართული სართულს ემატება
ზ. დათუაშვილის ფოტო.

დეკემბრის საკონცერტო აფიშა

ფლის ბოლო თვე ქართველ მაყურებლებს პირდება შეხვედრებს რესპუბლიკის მხატვრულ კოლექტივებთან, ქვეყნის მუსიკოს-შემსრულებლებთან. დეკემბრის საკონცერტო აფიშის შესახებ საქონფორმის კორესპონდენტს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიაში უთხრეს:

მიმდინარე თვეში დაგეგმილი კონცერტები მოეწყობა, როგორც სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობისათვის შემოქმედებითი ანგარიში. „ყრილობიდან-ყრილობამდე“ — ასე ეწოდება კონცერტების ციკლს, რომელიც მსმენელებს გააცნობს მუსიკალური ხელოვნების ოსტატების ახალ ნაწარმოებებს.

მრავალფეროვანი იქნება თბილისის კონსერვატორიის დიდ დარბაზში გამართული კონცერტების პროგრამა. 9 დეკემბერს აქ ეწყობა საქართველოს სახალხო არტისტის ჯ. გოკიელის შემოქმედებითი საღამო. მისი დირიჟორობით რესპუბლიკის დამსახურებული სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი შეასრულებს ბეთჰოვენის, ვაგნერის, ო. თაქთაქიშვილის ნაწარმოებებს. სოლისტი იქნება პიანისტი თ. ამირეჯიბი. საორგანო მუსიკის მოყვარულებს მოელით შეხვედრა მოსკოველ ორგანისტებთან ა. სიმონოვთან და ა. ვოლკოვთან.

საზამთრო საკონცერტო აფიშაზეა მოსკოველი დირიჟორის გ. კორნდორფის, უკრაინის სახალხო არტისტის დირიჟორ ვ. კოკუხარის, ოდესის სიმფონიური ორკესტრის მთავარი დირიჟორის გ. გოცირიძის სახელები, რომლებიც გამოვლენ საქართველოს სიმფონიურ ორკესტრთან ერთად. კონცერტებში მონაწილეობას მიიღებენ პიანისტები — საქართველოს სახალხო არტისტი მ. მდივანი, გ. სოკოლოვი (მოსკოვი), მევიოლინე ა. დეტისოვი. თვის დამლევს ჩვენს ქალაქში საქართველოს კამერულ ორკესტრთან ერთად გამოვა საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი მევიოლინე ვ. პაკაიზენი.

საფორტეპიანო მუსიკის საღამოებში, რომლებიც კონსერვატორიის მცირე დარბაზში გაიმართება, მონაწილეობას მიიღებენ საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი ა. ლიუბიმოვი (მოსკოვი), საქართველოს ფილარმონიის სოლისტი მ. ჭუმბურიძე, თავიანთ ხელოვნებას უჩვენებენ თბილისელი მევიოლინეები ე. არაქელოვი და ვ. კოხიაევი.

ქართული ვოკალური მუსიკის საღამოებზე მსმენელები გაეცნობიან თ. და ვ. ჩაჩავებს, მ. ეგაძისა და ი. საბაშვილის ხელოვნებას, გერმანელ ვოკალურ მუსიკას გააცნობენ მომღერალი დ. ჯიტავა და პიანისტი თ. მათიურელი.

ფოლკლორული მუსიკის ტაძარში ხეთაგუროვის „ეჩიჩაზე მოეწყობა ხოლმე ქართული ხალხური პოეზიის საღამოები, გამოვლენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მხატვრული აღზრდის სახლის კოლექტივები — ხალხურ საკრავთა ორკესტრი და ვოკალური კოლექტივი „მართვე“.

მსმენელებს (ახალ პროგრამას გააცნობს საქართველოს მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოების კამერული ორკესტრი კომპოზიტორ შ. შილაკაძის ხელმძღვანელობით.

ძველებური მუსიკის საღამოში მონაწილეობას მიიღებენ მევიოლინე ი. იაშვილი, პიანისტი მ. ფანაიშვილი, ფლეიტისტი ნ. კიკნაძე, ვიოლონჩელისტი თ. გომელაური.

ლენინგრადელები ეცნობიან

ლენინგრადის ცენტრალურ საგამოფენო დარბაზში, სადაც წარმოდგენილია საქართველოს ფუნჯისა და საკერთოლის ოსტატთა ექსპოზიცია, პირველ დღეებშივე ათასობით დამთვალიერებელი იყო. აქ გამოფენილი სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები მკაფიოდ აშუქებენ რესპუბლიკის ცხოვრებას.

— ჩემი თანამემამულენი ბევრ ქართველ მხატვარს იცნობენ პერსონალური და ჯგუფური თემატური გამოფენების შედეგად, — უთხრა საკადესის კორესპონდენტს საგამოფენო დარბაზის დირექტორმა ხელოვნებათმცოდნემ ნ. ი. სერდიუკმა. — ახლა ლენინგრადელებს შესანიშნავი შესაძლებლობა მიეცათ დაწვრილებით გაეცნონ თბილისის სამხატვრო გალერეის კრებულის ვრცელ რეტროსპექტივ კოლექციებს.

ფერწერის, გრაფიკის, ქანდაკების 1500 ნაწარმოები, აგრეთვე ლითონქანდაკება და გობელენები ფართოდ აშუქებენ სხვადასხვა თაობის ოსტატთა შემოქმედებას. აქ წარმოდგენილია როგორც მსოფლიოში განთქმული ოსტატების, ასევე დებიუტანტების ტილოები. ისინი გამსჭვალულია მხურვალე სიყვარულით მშობლიური მიწისადმი, ხალხისადმი, ქართული ისტორიის ფურცლებისადმი. (საკადესი).

ქება ქართულ ცეკვა-სიმღერისა



ცნობილია, რომ ბათუმი და ბლაგოევგრადი დაძმობილებული ქალაქები არიან. აქაურები ხშირად სტუმრობენ ერთმანეთს. ამჯერად ბლაგოევგრადელთა სტუმარი იყო ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ქორეოგრაფიული ანსამბლი, რომელიც ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის დღეებში იღებდა მონაწილეობას.

— ჩვენი ანსამბლის გარდა, — გვითხრა ხელმძღვანელმა, საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატმა ჯ. ჩიჩუამ, — ბულგარეთში „მეგობრობის მატარებლით“ ჩამოვიდნენ თვითმოქმედი კოლექტივები მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, როსტოვიდან, ულიანოვსკიდან, ორიოლიდან. ყველანი თავთავიანთ დაძმობილებულ ქალაქში განწყობილნენ.

მართალია, სტუდენტები ღელვდნენ — ისინი პირველად გავიდნენ საზღვარგარეთ, თანაც ესოდენ სპპატიო მიზეზით, მაგრამ მათი გამოსვლები ძალზე გულთბილად მიიღეს. ბლაგოევგრადის საოლქო გაზეთი „პირნსკო დელო“ წერდა, რომ „აკადემიური სტუდენტები მომხიბვლელად გამოვიდნენ, მათ ბრწყინვალედ შეასრულეს „ყაზბეგური“, „განდაგანა“, „ლაზ მეთევზეთა ცეკვა“, თავისებური ინტერპრეტაციით წარმოადგინეს ჩვენი „შობსკო ხორო“...

ამ ცოტა ხნის წინათ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში ტურისტულ იმდროინდელი მსოფლიოს ყველაზე მოწინავე ქვეყნებში აეგოთ ეკლესია-მონასტრები, იქ შეეძინათ და ქართულად გადმოეთარგმნათ უცხოური ძეგლები და ხელნაწერები, რომელთაც შემდეგ უხვად გზავნიდნენ საქართველოში. ამ მიზნით მათ ცივილიზაციის იმდროინდელ ცენტრებში — საბერძნეთსა თუ სირია-პალესტინაში, ბულგარეთსა თუ რუსეთში ააგეს და დააარსეს ეკლესია-მონასტრები, რომელნიც კულტურის შესანიშნავ კერებად იქცნენ და ქართული კულტურა ევროპულ ცივილიზაციას აზიარეს.

ქართული მწერლობის, ქართული კულტურის ამ კერათა მნიშვნელობა ფასდაუდებელია ეროვნული ისტორიის მთელ მანძილზე. ამიტომ მათი შესწავლა მეცნიერთა უაღრესად საშური და საპატიო ამოცანაა. სწორედ ეს დიდი საქმე დაისახა მიზნად პროფესორმა ლ. მენაბდემ და მეცნიერის სამ ათეულ წელზე მეტი ინტენსიური შრომის შედეგად დღეს სპეციალისტებსა და ფართო მკითხველს ხელთ აქვთ მისი კაპიტალური ნაშრომი.

**თუმც წიგნის სათაურია „ძველი ქართული მწერლობის კერები“, სინამდვილეში იგი სცილდება მხოლოდ მწერლობის საკითხებს და საკმაოდ ვრცლად წარმოგვიდგენს საერთოდ ქართული კულტურის ისტორიას. ავტორი ეხება იმ მოვლენებს, რომლებიც ეროვნული ფასეულობანი ყოფილან ქართველი ერისა, ეროვნული ენა, ეროვნული ფერწერა, ეროვნული ტაძარი, ეროვნული ფილოსოფია, ეროვნული ეკლესია, ეროვნული ეთიკა, ეროვნული ეროვნული ... ეროვნული ... ეროვნული ...